თამბაქოს კონტროლის გაძლიერების საკითხები საქართველოში

ლელა კვაჭანტირაძე

ნუკა მაღლაკელიძე

ლელა სტურუა

16 ნოემბერი, 2016

თამბაქოს გლობალური ტვირთი

- თამბაქოს მოხმარება იწვევს 6 მილიონ სიკვდილს ყოველწლიურად, აქედან 1.5 მილიონი ქალია; 1.6 მილიონი ევროპის რეგიონში ცხოვრობს; ყოველ 6 წამში 1 ადამიანი იღუპება
- 2030 წლისთვის გამოიწვევს 8 მილიონ სიკვდილს წელიწადში; ყოველ 4 წამში 1 ადამიანი დაიღუპება
- 600 000 ადამიანი იღუპება პასიური მოწევის გამო
- ყოველი 8 სიკვდილის ძირითადი მიზეზიდან 6 ასოცირებულია თამბაქოს მოხმარებასთან
- სიკვდილის შემთხვევათა 80% განვითარებად ქვეყნებში ფიქსირდება
- 20 საუკუნეში თამბაქოს მიზეზით 100 მილიონი ადამიანი დაიღუპა; 21 საუკუნეში ამ ციფრმა შესაძლოა 1 მილიარდს მიაღწიოს
- ბავშვთა 50%-ზე მეტი პასიური მწეველია, 40%-ის მშობელი მწეველია

თამბაქოს მოხმარების გავრცელება საქართველოში; STEPS 2016; ESPAD 2015

- ამჟამად მწეველები - 33.7 % (კაცი – 57 %; ქალი - 7.1 %) (STEPS 2010 – 30.3 %; კაცი - 55% , ქალი - 5%)
- სიგარეტის ღერების საშუალო დღიური რაოდენობა - 20
- ბოლო 1 წლის მანძილზე მოწევაზე თავის დანებება წარუმატებლად სცადა - 39%

- 50% - ს ოდესმე მოუწევია
- უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში - 18% (ბიჭები - 26% და გოგონები - 9%)
- რეგულარული მწეველი - 12% (ბიჭები - 19% და გოგონები - 4%)
- სიგარეტის შოვნა საკმაოდ/ძალიან ადვილი - 60%
- 21% (ბიჭები - 28% და გოგონები - 13%) თამბაქოს მოიხმარს 13 წლის და უმცროსი ასაკიდან
- ყოველდღიური მოწევა 13 წლის ან უმცროს ასაკში - 4% (ბიჭები - 6% და გოგონების 2%)

ყოველდღიური რეგულარული მწეველების % ევროპის რეგიონის ქვეყნებში; 2012



Note: WHO uses standard methods to calculate estimates to maximize cross-country comparability. These data may therefore differ from the official statistics of Member States.

Source: Global status report on noncommunicable diseases 2014 (9).

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენცია და საქართველო

20.02.2004 - საქართველომ ხელი მოაწერა ჩარჩო-კონვენციას

16.12.2005 - ჩარჩო-კონვენციის რატიფიკაცია

15.05.2006 - ძალაში შევიდა

ქვეყანამ აიღო საერთაშორისო ვალდებულება განეხორციელებინა კონვენციით ნაკისრი ყველა მოთხოვნა. ამ ვალდებულებებიდან <u>მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იქნა დანერგილი</u>

სახელმწიფოს პასუხი

- მთავრობის დადგენილება საქართველოში თამბაქოს კონტროლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ (მარტი, 2013)
- თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია (ივლისი, 2013) და 5 წლიანი სამოქმედო გეგმა (ნოემბერი, 2013)
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა „საზოგადოებრივი მოძრაობა ჯანმრთელი საქართველოსთვის“ (2015 წლიდან)
- თამბაქოს კონტროლის ჯგუფი NCDC-ში
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა (პუნქტი #513)

თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის მიზანი

საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელის შეწყობა და მათთვის მეტი ჯანმრთელი წლების უზრუნველყოფა თამბაქოს მოხმარების შემცირების და მეორადი კვამლისგან დაცვის გზით

თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები

1. თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების კოორდინაცია და მართვა - სრულდება, საჭიროებს გაძლიერებას
2. თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრა მასზე მოთხოვნის შესამცირებლად - სრულდება, საჭიროებს შემდგომ განვითარებას
3. თამბაქოს მეორადი კვამლის მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა - არ სრულდება
4. თამბაქოს ნაწარმის შემცველობის რეგულირება და ინფორმაციის გამჭვირვალეობა - არ სრულდება
5. თამბაქოს ნაწარმის შეფუთვა და მარკირება - ნაწილობრივ სრულდება, საჭიროებს გაძლიერებას
6. თამბაქოს რეკლამირება, პოპულარიზაცია და სპონსორობა - არ სრულდება

თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები

7. თამბაქოს წარმოება და ვაჭრობა - ნაწილობრივ სრულდება, საჭიროებს გაძლიერებას
8. თამბაქოს ინდუსტრიის პასუხისმგებლობა - არ სრულდება
9. დახმარების უზრუნველყოფა თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისათვის - სრულდება, საჭიროებს გაძლიერებას
10. განათლება და კომუნიკაცია - სრულდება, საჭიროებს გაძლიერებას
11. თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის დარღვევისთვის სანქცირების სისტემის გაუმჯობესება - არ სრულდება
12. კვლევები და შეფასება - სრულდება, საჭიროებს გაძლიერებას

მომზადებული კანონპროექტები

- საქართველოს კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ
- საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ
- საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ

აქციზის ზრდა

- 2013 წლის 1 სექტემბერი - ფილტრიან სიგარეტზე 0.6 ლარიდან 0.75 ლარამდე; უფილტრო სიგარეტზე 0.15 ლარიდან 0.2 ლარამდე
- 2015 წლის 1 იანვარი - ფილტრიან სიგარეტზე 0.75 ლარიდან 0.9 ლარამდე; უფილტრო სიგარეტზე 0.2 ლარიდან 0.25 ლარამდე
- 2015 წლის 1 ივლისი - 5%-იანი ადვალური გადასახადი ფილტრიან (საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება 2011/64/EU დირექტივასთან)
- 2016 - 0.9 ლარიდან 1.1 ლარამდე; ადვალური გადასახადი 5%-დან 10%-მდე

საერთაშორისო თანამშრომლობა

WHO FCTC შეფასებითი მისია, 2013

WHO Euro - FCTC

- აგდ და ჯანმრთელობა 20/20 მისია
- კვლევები (STEPs, GYTS)
- აგდ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის ექსპერტიზა
- პირველადი ჯანდაცვის ექიმების ტრენინგი
- თამბაქოზე თავის დანებების მობილური აპლიკაცია
- სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის

Emory University; EMCDDA; ESPAD

- კვლევები

საერთაშორისო თანამშრომლობა

„ბლუმბერგ ფილანტროპი“

ფილტვის მსოფლიო ფონდისა და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირი

- თამბაქოსგან 100%-ით თავისუფალი პოლიტიკის გატარება სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში (2011-2014)
- ხელშემწყობი გარემოს შექმნა თამბაქოს კონტროლის ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვისათვის საქართველოში (2015-2016)
- თამბაქოზე მოთხოვნის შემცირების მიზნით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცების და აღსრულების მხარდაჭერა საქართველოში (2016-2017)

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის აღსრულების საჭიროებების შეფასების მისიის რეკომენდაციები

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონვენციის ისეთ მუხლებს, რომელთა აღსრულების ვადებიც განსაზღვრულია
- საქართველომ გადააცილა კონვენციის მე-11 მუხლის (თამბაქოს ნაწარმის შეფუთვა და მარკირება) აღსრულების ბოლო ვადას (2009 წლის 15 მაისი)
- საქართველომ გადააცილა მე-13 (რეკლამა, სპონსორობა, პოპულარიზაცია) და მე-8 (თამბაქოს კვამლის მავნე ზემოქმედებისგან დაცვა) მუხლების აღსრულების ვადას (2011 წლის 15 მაისი)

ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

"საზოგადოებრივი მოძრაობა ჯანმრთელი საქართველოსთვის

თამბაქოს კონტროლი

1. პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების ტრენინგი მოწევის გადაგდების მოკლე კონსულტაციის საკითხებში
2. თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის დარღვევების იდენტიფიკაციასა და რეაგირებაზე პასუხისგებელი სტრუქტურების მიზნობრივი ტრენინგი
3. თამბაქოს ცხელი ხაზის ოპერატორების ტრენინგი
4. მონიტორინგი
5. საინფორმაციო კამპანია
6. კვლევა თამბაქოსა და სხვა დაკავშირებული რისკ-ფატორების და ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ (KAPS)
7. თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება
8. და სხვა...

არსებული ბარიერები

-BAT, PM და ქართული თამბაქოს ინდუსტრია აწყობენ არალეგალურ გათამაშებებს

-BAT, JTI, PM ახორციელებენ არალეგალურად სპონსორობენ სხვადასხვა უნივერსიტეტს

-JTI არალეგალურად სპონსორებს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრს

კანონდარღვევები

არსებული გამოწვევები:

- შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცება
- თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევა
- თამბაქოსთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა
- არასაკმარისი სახსრები თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გასატარებლად
- თამბაქოს შეწყვეტისათვის საჭირო მკურნალობის/სერვისების, მათ შორის ჩანაცვლებითი თერაპიის არარსებობა და მედიკამენტებზე დაბალი ხელმისაწვდომობა
- თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული გარემოს საფრთხეების საპასუხო პოლიტიკის არარსებობა
- მტკიცებულებების სიმწირე თამბაქოს მოხმარების გავლენაზე (ჯანდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური გავლენა)
- თამბაქოს კონტროლის საკითხებზე სრულად მომუშავე ადამიანური რესურსების სიმწირე

არსებული გამოწვევები

- შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების დროული დამტკიცება; კანონის განხორციელებისათვის საჭირო ეფექტური ინსტრუმენტის (მექანიზმის) შექმნა;
- აქციზის გადასახადის მეტი ზრდა; გაზრდილი სააქციზო გადასახადიდან მიღებული თანხის გამოყენება ჯანმრთელობის ხელშეწყობის სფეროში;
- თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის პროტოკოლთან მიერთება;
- საჭირო პოლიტიკის გატარება ჯანმოს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის 5.3. მუხლის სრულად განსახორციელებლად;
- პრინციპის „დამბინძურებელი იხდის“ გამოყენება თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული გარემოსდავითი გამოწვევების საპასუხოდ;
- მულტისექტორული ჩართულობის გაძლიერება;
- საერთაშორისო გამოცდილების და პლატფორმების გაზიარება სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მიმართულებით;
- კვლევების განხორციელება საჭირო მტკიცებულებების მოსაპოვებლად;
- ცნობიერების ამაღლება პოლიტიკის შემქმნელებსა და საზოგადოებაში;
- ინსტიტუციური შესაძლებობების განვითარება; ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზება.

მოწევა მავნებელია
თქვენი
ჯანმრთელობისათვის
!!!!!!!!!!!!!!!

NO
SMOKING

NO
SMOKING

100%

NO!

ერთად დავიწყოთ ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი მოძრაობა თამბაქოსგან გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალური ზიანის შესამცირებლად